

572
1975

საქართველოს
ბავშვთა ჟურნალი



1975 წლის აგვისტოს N11

ქვეყნის

პარკში

ილია ჭავჭავაძის

ჩამაცვეს და დამუცხნეს,
შომოტეს. გამაღამაზეს;
— სად მივდივართ, ბაბუა?
— სად, შვილო და, ზარადზე!

აი, ესეც ზარადი!
გვერდით მივდექ ბაბუას:
სან—იქით გამახედა,
სან—აქეთ მომაბრუნა.

მაგრამ ამდენ დროშებში
უფრო დავზატარავდი:
— ბაბუ, მხარზე შემიხვი,
დამხანაზე ზარადი!



საბავშვო
საბჭოთა

ნახატი თამაზ ხუციშვილისა



42705

ს. კობი

პირველი გამარჯვება

გომნაზიაში, სადაც ვალდია სწავლობდა, პანსიონატის ბავშვები. ამ პანსიონატში ჩამოსული ბავშვები ცხოვრობდნენ — გომნაზიელები, რომელთაც სიბრძნეში არც წათესავეები ჰყავდათ და არც მახლობლები. ამ გომნაზიელებს ძირითადად აქ ეძინათ — პანსიონატში და ჰამითაც აქ ჰამდნენ და სვამდნენ. მაგრამ, რატომღაც, სულ მშვიდები იყვნენ.

პანსიონატში ცხოვრობდა ერთი გომნაზიელი — მიტია ანდრეევი.

— ისეთ აქოთებულ ხორცს გვაჭმევენ, სათლექვე ვერ წაგვარებენ, — ერთხელ, შემთხვევით, სხვათა შორის უამბო მიტია ვალდიას, — რას იბამ, — გინდა, არ გინდა, უნდა ჰამო, სხვა გამოსავალი არაა... პირდაპირ ტირილის ხასიათზე ვარ: ჰამ და ყელში გადგას ცრემლები!

— ტირილი ვერ გიშველის! — უთხრა ვალდიამ, — უნდა იბრძოლო!

— როგორ უნდა იბრძოლო? — ანთხო მიტია, — ერთხელ უარი ვთქვი ჰამაზე და ჩვენი ზედამხედველი კინალამ სიცილით მოკვდა: „არა უშავს, კუჭი რომ აგეწვება შიმშილით, მაშინ კიდევ შემიხეწებო...“

— სხვამაც თუ თქვა ვინმემ უარი ჰამაზე? — ჰკითხა ვალდიამ.

— კი, ორმა-სამმა მაშინვე ამიბოძ მხარი და თუ შეგიტე გვერდზე გაწიეს, მაგრამ რა გამოვიდა!

— მოდი და, ყველამ ერთხმად თქვით უარი! — ურჩია ვალდიამ.

მიტია ჩაუტიდა.

— არ ვიცო, რას იტყვიან ბიჭები. ბევრს აღბათ ეშინია კიდევ: ამის გამო ხომ თავზე ხელს არავინ გადაგვისვამს!

— აბა თქვენ ხართ! მგლის შიშით თარა ვის გაუწყვეტია! თუ ხმას არ ამოიღებთ, მაშინ ვეღამაღი ხორცი ჰამეთ!

ვალდიას რჩევას ამოღო არ ჩაუვლია: მიტია ყველაფერი უამბო ამხანაგებს და, მისდა გასაცნობად, ყველა, — უფროსკლასელებიც კი — ერთბაშად დაეთანხმნენ, — უარი ვთქვათ საღიბე! მხოლოდ ერთი რამ განდა საკამათო: „ვინ დაიწყებს?“ — ვინ იტყვის პირველი, რომ არ ვჰამა?!

— მე ვიტყვი! — წამოგდა მიტია, — ოღონდ ყველამ უნდა დამიჭიროთ მხარი! რაც არ უნდა მოხდეს, უკან არ უნდა დაიხიოთ!

— ვინც უკან დაიხივს, ვცემოთ! — ერთხმად

ს. ბარსევის ნაბ. ნაკ. სსრ
სახელმწიფო საბავშვო
გაზეთის რედაქცია

წამოიყვირეს აქეთ-იქიდან.

მეორე დღეს, სადიღზე, ნახევრადამაძალი ხორციის კატლეტი რომ ჩამოარიგეს, მიტრია წამოღება, თუფში გვერდზე გასწია დახმამალდა თქვა:

— ხორცი ძველია! ამ კატლეტებს ხელს არ დავაკარებთ!

— სწორია, კატლეტს არ შეგვჭამთ! — კვერი დაუკრეს უფროსკლასელებმა და მათაც გვერდზე გასწიეს თუფშები.

— ეს რა ამბავია! — იყვირა ზედამხედველმა, —

იტყვოდა დირექტორი.

დირექტორმა ჯერ გამოიკითხა, საქმე, მერე კი დინჯად განაცხადა, რომ კატლეტები კარგია და იგი ყველამ უნდა ჭამოს...

— ვერცერთი არ დადგებზე ვერ წახვალთ, თუ არ მტყყვით ვინ წამოიწყოს ეს ჭორი, ყველას დიდგში გამოვამწყვედეთ! — მკაცრად დააბოლოვა თავისი სიტყვა.

ყველა დუმდა.

— თქვენნი ბავშვები ხომ არ ჭამენ ასეთ კატლეტს! — წამოიძახა ვილაცამ.



ანღავე ჭამეთ!

— თვითონ ჭამეთ! — აყვირდნენ გიმნაზიელები და, ერთ-ერთმა მათგანმა კატლეტიანი თუფშიც კი მიურბენინა.

— აჰა, არ მოგწონთ? — წამოიძახა ანდა ვილაცამ, — არც ჩვენ მოგვწონს! — ამის თქმა იყო და, ატყდა ერთი ფეხის ბრავუნი, დანა-ჩანგლის რახჩუნი და ჭიქების წკრიალი.

ხმაურზე სასადილო დარბაზში გიმნაზიის დირექტორი შემოვიდა. წუთით ყველა გაჩუმდა და ფეხზე წამოგება, ყველა დუმილით ელოდა, რას

— ბოლოს და ბოლოს, ჭამთ თუ არა! — მუქარით დაიყვირა დირექტორმა.

— არა! — ერთხმად უპასუხეს გიმნაზიელებმა. რალა გზა ჰქონდა, — დირექტორი შებრუნდა და ხმაურით გაიხურა კარი.

მართალია, მიტრია და მისი ზოგი ამხანაგი მართლაც გამოამწყვედინეს დიდგში, მაგრამ გიმნაზიელებმა შინიც გაიმარჯვეს: დირექტორმა სამსახურიდან გააგლო მომმარაგებელი, რომელიც დამაძალი ხორციით კვებავდა გიმნაზიელებს.

და ეს ნამდვილი გამარჯვება იყო.

ყველგანეკალი

ალექსაი შლიინი

მოდის,
მოდის,
მოდის
ყველგანმავალი;
გადმოსვრა კორდი,
ველი, ტრამალი.

წაფორხილდა, შეხეთ,
გეგონებათ მთვრალი!
დაღბჯინა ფეხებს,
გაიბერტყა ტანი.
ჩართო სიჩქარეც...
ჰერიი!

ჩამოიქროლა...


სერი!

ლონეც აქვს და ძალაც,
მოდის კისრისტეხით,—
გააბოჯინჯგალა
უცებ ისევ ფეხი:
ტრაახ-ტრაახ—ტრაახ!—
მოიქეჭა გვერდი:
სად გამოყოფს თავს,—
ქინკარში ვერ შედის...

ყურნალის ამ ნომერში გაეცნობით რუს საბჭოთა მწერალთა საბავშვო მოთხრობებს, ლექსებსა და ზღაპრებს.

ამავე—წლევეანდელ მეთერთმეტე ნომერში—სტუმრალაა პოპულარული რუსული საყმაწვილო ჟურნალის—„მურზილ-კას“ წლევეანდელი მეთერთმეტე ნომერი. მოთხრობები, ზღაპრები თუ ლექსები რუსულად და ქართულად ერთდროულად დაიბეჭდა მოსკოვსა და თბილისში.

МУРЗИЛКА № 11





ნახატები პლაპარკ პეპოქაძისა

როგორ ისწავლა გოგამ ნაქა-კითხვა

კვიპორა გოლიაქაძისი

გოგა პირველ კლასში რომ მიიყვანეს, მხოლოდ ორ ასოს სცნობდა. ბებია ცდილობდა ბიჭისათვის წერა-კითხვა ესწავლებინა, მაგრამ შვილიშვილი ყოველთვის თავს არიდებდა.

— ახლავე, — ეტყუოდა ხოლმე ბებიას, — ჯერ ჭურჭელს დაგირცხავ და მერე მასწავლებლობა გოგა მაშინვე სამზარეულოში გავარდებოდა და ჭურჭელს ააწკარუნებდა. ბებიას გული სიხარულით ევისებოდა: — ეს რა გამბრჯე და დაუზარელი ბიჭი გვეზრდებოა.

გოგას მშობლები ხანგრძლივი მივიღინებით იყვნენ წასულები და ბიჭის აღზრდა მთლიანად ბებიას ჰქონდა მინდობილი.

შვილიშვილი მართლაც ხშირად ესმარებოდა ბებიას, იატაკის დაგვა იქნებოდა თუ პურის მოტანა, ჭურჭლის გარცხვა თუ სხვა საქმე. გოგა, საერთოდ, უარს არაფერზე არ ამბობდა და გახარებული ბებიაც ათასგვარი საჩუქრებით ავისებდა. წიგნსაც ხმამაღლა უკითხავდა ხოლმე: ბიჭი ტახტზე მოიკალათებდა, თვალებს დახუჭავდა და უსმენდა.

„აბა, რა საჭიროა წერა-კითხვის სწავლა, — ფიქრობდა შვილიშვილი, — ბებია ხომ მიკითხავს წიგნებს!“

გოგას ასეთი ჩვეულება სკოლაშიც გაჰყვა. მასწავლებელი თუ ეტყუოდა, — გაკვეთილი წაიკითხო, — ის სხვა საქმეს გამოიჩინდა: — თუ გინდათ, სარკმელს დაგზუზავ, ძალიან უბერავს, — ანდა სხვა რაღაცას იტყუოდა ამგვარს. ხანდახან ავადმყოფობასაც იგონებდა, რის გამოც, ერთხელ მასწავლებელმა ექიმთანაც გაგზავნა.

გოგას გამოსასწორებლად თანაკლასელებმაც გამოიღეს თავი, მაგრამ ყველაფერი ამაო აღმოჩნდა. ჯერ იყო და, ფრიალოსანმა, ყველასაგან გამორჩეულმა გოგონამ — მაშამ უთხრა:

— მოდი, დავსხდეთ და, მართლა ისწავლე, მეც მოგეხმარები!

— როდის? — ჰკითხა გოგამ.

— ახლავე.

— მეც ახლავე მოვალ! — და, იმ წუთში საღალე გაქრა.

მერე — ასევე ფრიალოსანმა — გრიშამ სცადა დახმარება. გაკვეთილების შემდეგ კლასში დარჩენენ, მაგრამ როგორც კი გრიშამ დედაენა გადამალა, გოგა მერხის ქვეშ ჩაძვრა.

— სად მიძვრები? — გაიკვირა გრიშამ.

— შენც ჩამოძვერი, აქ სჯობია.

— რატომ?

— ხელს არავენ შეგვიშლის.



— თუ სწავლა არ გინდა, იყავი მინდ!—გაბრაზდა გრიშა და შინ წავიდა.

ამის მერე ყველა დარწმუნდა, რომ გოგასთან ლაპარაკი წყლის ნაყვა იყო და თანაკლასელებმაც თავი მიანებეს.

ამისობაში გოგას მშობლებიც დაბრუნდნენ მივლინებიდან. რა თქმა უნდა, მათ ყველაფერი დაწვრილებით გაიგეს და ძალიანაც ეწყინათ. გაბრაზებულმა მამამ ერთ საღამოს სათათბიროდ დედა და ბებია თავის ოთახში მიიწვია. გოგა ამ ამბავმა ძალიან შეაშფოთა, მაგრამ, როცა მამასთან და ბებიასთან საუბრის მერე დედამ წიგნი მოიტანა და ხმამაღლა დაიწყო კითხვა, დაწინარდა: ჩვეულებისამებრ, ტახტზე მოიკალათა და სიამოვნებისაგან ფეხების ქნევას მოჰყვა.

დედამ წაიკითხა ერთი ფურცელი, წაიკითხა მეორე ფურცელი და, უცებ—ყველაზე საინტერესო ადგილას შეწყვიტა კითხვა. ბიჭს ცნობის-

მოყვარეობისაგან თვალები გაფართოებოდა.

— ახლა შენ წაიკითხე. დაბნეულმა გოგამ მაშინვე იპოვა გამოსავალი: — დედაკო, ჯერ ჭურჭლის რეცხვაში მოგეხმარები!

დედას უარი არ უთქვამს. ცოტახნის შემდეგ, სამზარეულოდან გამოსულმა გოგამ წიგნი მამას მიუტანა და სთხოვა:

— წამიკითხე, ძალიან მაინტერესებს!—მაგრამ მამის მკაცრ სახეს რომ შეხედა, ცივად გამობრუნდა უკან.

მეტი რა გზა იყო, ისევ ბებიასთან მივიდა. ბებიამ წიგნი გამოართვა, გადაშალა და, უცებ ჩაეძინა. გოგამ ვერ გაიგო, ბებიას მართლა დაეძინა თუ თავი მოიძინარა. ბევრს ეცადა, მაგრამ ვეღარ გააღვიძა. არადა, ძალიან უნდოდა გაეგო, როგორ დასრულდებოდა ის საინტერესო ამბავი. გაწილებული იატაკზე დაჯდა და სურათებს

დაუწყო თვალღერება, მაგრამ სურათებით, აბა, რას გაიგებდა!

მეორე დღეს წიგნი სკოლაში წაიღო. თუმცა, რად გინდა!—თანაკლასელებმა უარი უთხრეს,—ვერ წაგიკითხავთო. ეგ კი არა, მაშამ ზედაც არ შეხებდა. გრიშა კი—გამომწვევად მერხქვეშ ჩაძვრა. გამოდიოდა, რომ ვერასდროს ვერ გაიგებდა, რა ხდებოდა წიგნში. ისევ თვითონ უნდა ესწავლა კითხვა და წაეკითხა.

აი, თურქე რა მოუთათბირებიათ მამას, დედას და ბებიას!

ეტყობოდა, სკოლაშიც იცოდნენ, რაც იმ თათბირზე დაღწევით.

სხვა გამოსავალი არ იყო და, გოგამ ისწავლა კითხვა. მაღე ის წიგნიც წაიკითხა და ბევრი სხვაიც. მაგრამ ჩვეულებრივად, არც პურის მოტანა ავიწყდება და არც ოჯახის სხვა საქმე, რის გაკეთებასაც შეესძლებს. რატომ? იმიტომ, რომ გოგას ასე უფრო საინტერესოდ ეჩვენება ცხოვრება და, ჩემი აზრით, სრულიად სამართლიანადაც.

თარგმანი გზინა გელაშვილისა

სახატები სოფიო კინწარაშვილისა

მურჰი ლეა N 11

ნაირფერი სახლები

იან აკიში

სახლს დაეხატავ მწვანეს,
ნაძვის სახურავიანს;
ციყვის ექნება გირჩები,—
თუკი ჭამის თავი აქვს!

სახლს დაეხატავ ცისფერს—
მომიწონებთ ნახელავს,
ლამაზ-ლამაზ ოთახებს
დაეურიგებ რვაფეხათ.

მერე თეთრსაც დაეხატავ,
დიდს და სქელმიწიანს,
კურდღლებს, დათვებს მოგიწვევთ,—
ლხენა მინებები.

მერე შავ სახლს დაეხატავ—
გამოკეთილ კარებით...
იქ თქვენ შედით, ბუებო,
დაითხარეთ თვალები!

ბოლოს წითელს დაეხატავ
ფერად-ფერად მინიანს,—
იქ „მატროშკას“ ვაცხოვრებ
წითელ სახე-პირიანს.

თარგმანი გელაშვილისა



პატარა ნავში
 ჩამჯდარა ვანია:
 ტა-ტა-ტა!..
 ნაპირზე ვერ გაუყვანია.

ქანაობს ნავი და
 შხეფებით იცუება!
 — ვინ შვრება!
 — ვინ შვრება!
 — ვინ შვრება!—
 ვანიას ყაღუზე
 დაუდგა თმა...
 — ეს მე ვარ!—
 პასუხობს ტბა.

ტკაცუნებს აფრა და
 იხეფვა, იშლება...
 — ვინ შვრება!
 — ვინ შვრება!
 — ვინ შვრება!—
 შიშით აუტრედა
 ვანიას თვალი...
 — ეს მე ვარ!—
 პასუხობს ქარი.

და რა უნას,
 და რა ჰხას
 პატარა ვანია—
 ნავი ნაპირზე
 ვერ გაუყვანია.

ვანია უკვე ნაპირსაც ხედავს.
 — ვინ?
 — ვინ ელოდება ნაპირზე?
 ღედა!

ნაპირს მიაყენა
 ვანიამ ნავი:
 — რა ბიჭი ყოფიდა,—
 მომიკვდეს თავი!—

— ნაღდი მებღვაური გამოვა,
 მორჩა!
 — ღედა გენაცვალოს, ვანია,
 ყოჩაღ!

თარგმნა იორამ ქვირიპალიძემ





ბავშვებო!



თქვენ ამ ბოლო დროს ხშირად გესმით სიტყვა—„ბაბი“. მაგრამ ბევრმა არ იცის, რას ნიშნავს იგი. „ბაბი“ შემოკლებული ფორმაა და ბაიკალ-ამურის მაგისტრალს ნიშნავს.

რკინიგზის ეს ხაზი შორეულ ციშბირში—უდაბურ ტაიგაში შენდება. ეს მხარე ძლიერ მდიდარია, მაგრამ უგზოობის გამო, აქ არც ქარხნებია, არც—ქალაქები და არც—სოფლები.

რკინიგზის გაყვანის შემდეგ კი ქალაქებიც გაშენდება, დაბებიც, სოფლებიც, ქარხნებიც და ფაბრიკებიც.

ამჟამად აქ, ამ მშენებლობაზე, ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა მოძმე ერის შეილი შრომობს: რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, ყაზახი, სომეხი, ლიტველი თუ ლატვიელი—მთელი საბჭოთა ხალხი...

ერთ დაბას ქართველი მშენებლებიც აგებენ. მისი სახელია—ნია გრუზინსკაია.



ნია გრუზინსკაია

მუშაობს ბავშვებთან

ზიონერთა ოთახში, ეველასზე თვალსაჩინო ადგილას, რუკა ეკუთვნის. იგი თვით ზიონერებმა დანაშადეს.

რუკა ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობას ასახავს. რკინიგზის ეს ხაზი შორეულ ციშბირში, უდაბურ ტაიგაში შენდება.

ასლი დაბის—ნია გრუზინსკაიას მშენებლებთან შეგობრობენ ქუთაისის მე-7 საშუალო სკოლის ზიონერები, ისინი მათ წერილებს და ამანათებს უგზავნიან.

ერთ დღეს ზიონერთა ოთახში ოქტომბრელებიც შეიკრიბნენ. მათაც გადაწყვიტეს ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობისათვის გაეგზავნათ წერილი და ამანათი.

მეორე დღეს სოკმა ვაშლი მოიტანა, სოკმა—კომპი. ჩურჩხელა და ტუბილი კვეციცი ბლომად ჩადეს ამანათში. ვუთხრა შე-

მოდან ასე დააწერეს:

„ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობა. დაბა ნია გრუზინსკაია. ჩვენს შეგობარ მშენებლებს“.

არც ისე დიდი ხანი გასულა და ოქტომბრელებთან ფოსტალიონმა დიდი კონვერტი მოიტანა. კონვერტში ორი ფოტოსურათი ილა. ერთზე ლაპსი სახლები, მოედნები და ქუჩები მოჩანდა: „ასეთი იქნება ნია გრუზინსკაია“—ეწერა ფოტოსურათს. მეორე, უფრო ზატარა სურათზე კი ტაიგაში აგებული მშენებელთა ზირველი სახლები იყო აღბეჭდილი. იქვე მუშები მოჩანდნენ, ფოტოსურათს კი ასე ეწერა: „გიწვევთ შეჯამებში! ჩვენ ნია გრუზინსკაიაში რუსთაველის ქუჩის აუაშენებთ, თქვენ კი—კარგად ისწავლეთ!“

ნიკ

კობტა გოგონიას—
ეძაზიან ნიას.
ბამში გასაგზავნი
ამანათი მიაქვს.
კობტად შუუუუთავს
კობტა გოგონიას,
ისე კობტად მიაქვს—
არ აკარებს ნიავს.
უხარია ნიას,
აამაყვებს ნიას,
რომ აგებენ ქალაქს
ნიას დიდ სენიას.

ბამი

გიორგი შარაბიაძე

ბა-ამ,
ბა-ამ!..
ბამი
თუ სახელი გახდავს,
რას დავარქვით?
— რას და,
დიდ რკინიგზას ახადს.
ყველა კარგი ვაჟის,
ყველა კარგი ქალის
სადევემირო გზაა—
ამურ-ბაიკაილის...
იქ რჩეული ხალხი
ტებს ყინულის ყამირს,
ქართველობაც არის
მშენებელი ბამის!
ბამის დასაწყისის,—
ბამის დასაბამის.

კ. შარაბიაძის სხვა სტატიები
საბავშვო ჟურნალში
"მეგობარი"



მხედარი

სპირიტი პლანკაი

(რუხი ხალხის წარსულიდან)

ერთ ტრამალს ცხენოსანთა რაზმი მიადგა. გახედეს მინდორს მხედრებმა და თვალს არ დაუჯერეს; ერთ კაცს კავში ცხენის ნაცვლად სამი ადამიანი შეუბამს: ცოლი, მოხუცი დედა და ცეროდენა ბიჭი, თვითონ კი სახნისს ეჯაჯგურება.

გაიტანენ საბრალოები ცოტაზე კვალს, შეჩერდებიან წამიერ, მოითქვამენ სულს და ისევ ეწყვიან კავს.

ჰკრეს მხედრებმა დეზი ცხენებს და გუთნისდელას მიადგნენ.

ყველაზე უფროსი რომელიც იყო, მრისხანედ შეაღლო გლეს თვალი და ეუბნება:

— რას შვრები, შე სულწაწყმედილო, პირუტყვის ნაცვლად ადამიანები რომ შეგებამს

ნახატა თამაზ ხუციშვილისა

კავში და ამუშავებო!

დააქყიტა თვლები გლგებმა—ვილაც ბაყბაყდევით კაცი დგას მის წინ. თავზე წითელწვერიანი პომპოლიკა ქუდი ხურავს, მწვანე ჩექმები აცვია, ტანზე—მდიდრული ხიფთანი. ხიფთანს შიგნით ფერადი პერანგი მოუჩანს და ხელში გრეხილი მთრახი უჭირავს.

«ეტყობა, ბოიარია, ან სულაც მხედართმთავარი»,—ფიქრობს გლგები. გაიშვართა ნახნავის კვალზე და ფეხებში ჩაუვარდა იმ წარჩინებულ მებატონეს:

— ობლები ვართ, შენი კირიმე, ობლები. მარჩენალი ცხენი აღარა გვყავს, ვალგებში წაგვევარესო.

სახე მოექცა მხედარს, მოიღრუბლა. ჩამოხტა ცხენიდან და გლგეს მიუბრუნდა. «შეშინებული გლგები ჯერ უკან-უკან გაფოფბდა, მერე წამოხტა და თავქუდმოგლეჯილმა მოქუსლა.



— მოიცა, შე ოხერო, შენა, სად ჯანდაბა-
ში გარბიხარო!—მოგსმა გლგხს ხმა.

გულის ფანცქალით მიბრუნდა უკან, გაუ-
ბედავად.

— აჰა, შენი იყოს ეს ცხენიო,—უთხრა
ბატონმა და სადავე გაუწოდა.

გლგხი მოულოდნელობისაგან გაშტერდა,
კოლი და მოხუცი დედაც სახტად დარჩნენ,
ბიჭუნა კი პირდაღებული მისჩერებოდა. ხე-
დავენ, მაგრამ არკი ეჯერებათ ეს ყველაფერი.

ცხენი კი არა, ბედლაურია პირდაპირ, მალა-
ლი, კოხტა და შნოიანი. ოდნავ ფორფეჯე-
ბიანს ნაცრისფერი გადაჰკრავს.

„ხუმრობის გუნებაზეა ბატონი“,—გაუელ-
ვა გლგხს და დგას გაუნძრევლად.

— წაიყვა, სანამ ვაღამიფიქრებიაო!—დაე-
მუქრა ბატონი, სადავეს ხელი უშვა და მინ-
ლორს გაუქცა.

მხედრებიც მიჰყვნენ ფეხდაფეხ. მხოლოდ
ერთი მათგანი შეყოვნდა წამიერ. თამბაქოს

ქისა დაუფარდა უცაბედად.

„იდილის მისი სახელი, ნამდვილად ღმერ-
თმა გამომიგზავნაო“,—წაიჩურჩულა გაშტე-
რებულმა გლგხმა და ცხენისკენ მიბრუნდა.
მიბრუნდა და უცებ შიშმა აიტანა: ვაითუ
ჯადოჭრობაა რამეო და ხელი მოუთათუნა.
ცხენმა უმაღვე წიხლი ჰკრა.

გლგხმა ნაწიხლარზე ხელი წაივლო.

— ნამდვილი ცხენი ყოფილა, ნამდვილი!—
ღრიალი აღმოხდა დიდი სიხარულისაგან,—
ვინა ხართ, საიდან ბრძანდებითო?!—მიეარ-
და ჩამორჩენილ მხედარს.

— ცითა ვართ ჩამოფრენილი, შევარდნები
ვართ ნავარდა, ქარი ვართ გაზაფხულისა,—
უცნაურად ჩაუკრა თვალი ჰაბუკმა.

— ის მაინცა თქვი, ვისზე ვილოცო, ის
ქულოსანი ვინ არისო?

— რაზინია, სტეფანე ტიმოთეს ძე რაზი-
ნი!—გაქენებული ცხენიდან მოაძახა მხედარმა.

ბრიყვი თაგუნას ზღაპარი

საშვილ ბარბაქი

ნახატები მინან მორაჩილაძისა

ღამით თაგვი სორღში
უმღეროდა თაგუნას:
— დაიძინე, დიღაზე
პურს მოგიტან ხრამუნას.
ჭირვეულობს პაწია,
გულსაკლავად წრიპინებს:
— ძიძას თუ არ მომიყვან,
ისე ვერ დავიძინებ.—
ღედა თაგვი იხვისკენ
გარბის ხელებგაწვდილი:
— წამყევე, იხვო დეიდა,
არ იძინებს ყმაწვილი.
ღაურწიე აკვანი,
რა ვქნა, მთხოვა ძიძაო,
გადაგიხდი სიკეთეს,
მეზობლობას ვფიცავო.—
მღერის იხვი:
— ვახ, ვახ, ვახ,
ნანა, სძინავს ყვედასო,
ხვად საჩუქრად მოგართმევ
მსუქან კიაყედასო.—



წრუწუნამ თქვა:
— არ მინდა შენი არაფერიო,
აბა, რა დამაძინებს,
რა ვახვანთო მღეროო.—



თაგვი ახლა ბაყაყთან
გარბის ხელებგაწვდილი:
— მეზობელი, მიშვედე,
არ იძინებს ყმაწვილი,
ღაურწიე აკვანი,
იყავ მისი ძიძაო,
გადაგიხდი სიკეთეს,
მეზობლობას ვფიცავო.—
აყიყინდა ბაყაყი,
თვალებგადმოკარკლული:
— ყი-ყი, ყი-ყი, ნანინა,
დაიძინე თაგუნი.
პირის ჩატკებარუნება
წუგბარ ღუკმით ხომ გიყვარს?
დაიძინე, დიღაზე
მსუქან კოლას მოგიყვან.—
წრუწუნამ თქვა:

— არ მინდა შენი არაფერიო,
აბა, რა დამაძინებს,
რა ყიყინით მღერიო.—

დედაც ცხენი მონაბა,
ფაფარგადავარცხნილი;
— წამყევ, ცხენო დეიდა,
არ იძინებს ყმაწვილი.
დაურწიე აკვანი,
იყავ მისი ძიძაო,
გადაგიზღო სიკეთეს,
მეზობრობას ვფიცავო.
— ხვი-ხვი, — ცხენი ამღერდა, —
უძილობა დაგჩემდა?
ნანი-ნანი-ნანუნო,
დაიძინე, თავგუნო.
დაიძინე, შენს ტოლებს,
უკვე ყველას ძინავსო,
ხვალ დიღაზე მოგიტან
სურნელოვან თივასო.—
წრწუნუნამ თქვა:
— არ მინდა, შენი არაფერიო,



აბა, რა დამაძინებს,
ხვიხვინებ თუ მღერიო.—



თავგი კატას ეახლა
იმედისგან დაცლილი:
— წამყევ, ფისო დეიდა,
დამიძინე ყმაწვილი.—
მღერის კატა ნაბი ხმით:
— ნანი-ნანი-ნანუნო.—
მთლად მინაბა თვალგები,
გაციტრუნა თავგუნა;
განა დაიწუნუნა,—
ტკბილად დაიწრწუნუნა:
— ნეტარებით ამავსო,
რა საამო ხმა აქვსო.—
დედას შვილის სიტყვები
გულზე მოესაღებუნა,
მაგრამ როცა მის საწოლს
გადახვდა მადლად,
ელდა ვცა—უკვადლოდ
გამქარაიყო თავგუნა...

სუტიანი



საქართველოს
წიგნების კავშირი

ნახატი ზაპარ ზურაბიშვილი

ბორის კაკაბიძე

ვანამ ფრთხილად ამოძალა რუკულიდან სამიანი. შერე წითელი ფანქარი ბილი და ამონაძალზე საგულდაგულოდ სუტიანი გამოიწვიანა.

— აი, მესმის სუტიანი, — მოეწონა ვანიანს, — შინ რომ მივალ, დედას გავახარებ!

სადამოს დედამ მართლაც გადაათვალიერა ვანიანს რუკული, სუტიანი რომ დანახა, დიდად გაუკვირდა:

— ეს რა ამბავია, ნაწერში ოთხი შეცდომაა, ნიშანი კი სუთი გიწერია!

— მე რა ვიცი, — შეიშუშნა ვანია, — მე სომ არ დამიწერია, მასწავლებელმა დაწერა.


— უცნაურია, როგორ მოხდა, — განაგრძობდა დედა, — ოთხი შეცდომა და, სუტიანი?!

ვანიანს სმა აღარ ამოუღია. დედა რომ სამხარეულოში გავიდა, სასწრაფოდ საშლეული და ფანქარი ამოიღო, სუტიანი ისევ სამიანად გადააკეთა და ჩაფიქრდა:

„მე შეგონა, გაეხარებოდა... თურმე არც ისე ადვილია — დედა გავხარო!“

თარგმანი ზაპარ ზურაბიშვილი

МУРЗИ ЛНА № 11



— ეს რა ჩაგიდენია, როგორ და შევეს ჩემს ბეირფას სამოსს?! ეველამ რომ ასე ჩამოსკრას, რაღა დამრჩება, რითიღა გაყვანათო უკუნეთ ღამეში ტუეები და მთები, გზები და სვეები?!

შეშინდა საწუალი ობობა:

— დამნაძავე ვარ, მანატრეთ! მაგრამ ნამდვილად არ მიწუენდით, ჩემი კეთილი გულის ამბავი რომ გაგეგოთ: ხვალ ჩემი მეგობრის, ციცინათელას, დაბადების დღეა და მინდოდა ხსალი ღაბადა შეჩუქებინა. რომ იცოდეთ, როგორ დაუძველდა!

— ჰო! თუ მეგობრის დაბადების დღეა, ეს სხვა საქმეა! კეთილი, მთართვი ჩემგანაც!

მას აქეთ უციმციმებს ზურგზე მთვარის შუქი ციცინათელას!

თარგმნა მარი გვალსიანა

ობობა და მთვარის შუქი

ირინა კიოძარაძე

ნახტი ზაზა ლიხაძისა

ერთ ღამეს ნამკალა მთვარეს თავისი გამჭვირვალე, ჯერცნლისფერი შუქის მოსასხამი მოესურა და კორდზე სთელემდა.

მიუზარა მწვანე ობობა და მის ბრჭყვიალს ტანსაცმელს კალთა ჩამოაჭრა. დაბრუნდა მთვარის მოსასხამი ობობამ, დაგრიხს ძაფი და თავისი ჩვეული ოსტატობით მოქსოვა ზატარა ღაბადა. რა თქმა უნდა, ღაბადაც მთვარესავით აშუქებდა.

გაიღვიბა მთვარემ და განრისხდა:





მანანა პალაშვილი

ახალი პედაგოგები

ერთ ზაფხულს პატარა ნინოს დედამ პალტო უყიდა.
 ნინოს, რა თქმა უნდა, პალტო გაასინჯეს, მაგრამ განხდით კი ველარ გაზადეს:
 — მეცვას დედი, მეცვას...—და თვალზე ცრემლი მოადგა.
 — ნინო, პალტო ზამთარში უნდა ჩაიცვა, ახლა კი ზაფხულია!—დააწყნარა ღიმილით დედამ.
 — მაშინ, არ მინდა ზაფხულში, წავიდეთ ზამთარში!—არ დაიშალა ნინომ.

მიყიდა


— დედი, მიყიდე მანქანა!—სთხოვა დედას ნინომ, ქუჩიდან ვიტრინაში რომ ნაირნაირი სათამაშო მანქანები დანახა.
 — ფული არა მაქვს!—მოკლედ უთხრა დედამ და ფეხი ააჩქარებინა.
 ნინო გაჩუმდა. მერე გულდაწყვეტილმა ვიტრინისაკენ მიიხედა და დედას გაბუტული ხმით უთხრა:
 — მაშინ ფული მიყიდე!

ნინომ შეგპარსხვინა

ნინოს ერთი ცული ჩვეულება ჰქონდა, თოჯინების წვალემა უყვარდა: ისე გაბუტავდა, თავზე ერთ ღერ თმას არ შეარჩენდა.
 ერთხელ ნინოს მშობლებს ერთი მგლოტი კაცი ეწვია სტუმრად.
 ნინომ უყურა, უყურა სტუმარს და ბოლოს ჰკითხა:
 — ძია, ვინ დაგაგლიჯა თმა?!
 რა თქმა უნდა, ასეთ შეკითხვაზე სტუმარსაც შერცხვა და ნინოს მშობლებსაც.



ქ ს ზ უ ზ ც ა რ



თქსეპესი

შეაცხეთ ცარიელი უჯრედები ისე, რომ მივი-
ლოთ გშირი ქალაქების სახელწოდებები.
შეადგინეს ზაქვის ქართული საშ. სკოლის მოს-
წავლეებმა ნინო და ზაად ხოფერიებმა.

1975

ჩამი ბაბო

გიორგი შაგრაძელი

ჩემს საუვარელ ბუბიას
თეთრი, თეთრი თმები აქვს...
ბევრზე ბევრი მასწავლა
ზღაპრები და ლექსები,
ის მე მთავრებს,
მე მას ვეაღერებ!

ჯამთრისპირი

გიორგი გიგაური

მთამ თოვლი გადაიფარა,
მიღამო გადაიანათა,
ფილიპე პაპამ ცხვრის ფარა
ჩამოიუყვანა ბარადა.

სახლში პატარა ჯაფრი
მოვარდა აურჯაფრით:
— გაბრაზებულმა ყოჩებმა
ერთმანეთს თხლიშეს თავური!

გამოსანა


ოთახი არის უფანჯრო,
დიდი კარადის ხელო,
რომელ სართულზეც ისურვებ,
ფეატირელებს ხელოდ.

შოთა აპირანაშვილი

შეადგინა ქ. აბაშის საშ. სკოლის მოსწავლემ
ნანა ზარკალიაძემ.

რეკუსი

ს ჰ



ბავშვებო: ჩვენი ჟურნალის მეთე ნომერში
მოთავსებული თავსატეხი დაბეჭდილი უნდა იყოს
ახე:

ბაღში

მივი ძნელად

მწიფე ნაყოფის სურნელით
ამოვსებულა სიურცე,
ქარი მოვარდა. ვაშლის ხე
თავ-წირომი ხელებს იცემს...
ნამძკრებული ნაყოფი
მწვანე ბაღასში ცვივა...
ზოგან მანქანებს ავსებენ,
ზოგან მანქანებს ცლიან.

ცვივა და ცვივა მიწაზე
თურამაული ვაშლი...
სადღაც ბარდებში ჭასჭასებს
გახარებული მშვიდი.



ნახატი შანი უპულაასი

შოთა რედაქტორის მავირ იორამ ძაშინაძე

სარედაქციო კოლეჯი: კაპაძე გიორგი, ლილა პარაძე, მუხრან მახარაძე, მახარაძე მადონა, ლიპინი, ჯიშინაძე მუხრან, გიორგი გომიზიანი (სახ. რედაქტორი), რომანოვი ლარსა, გივი ძნელად.

საქ. აღკ. ციკისა და გ. ლენინის სახელობის პირენეისკის ორგანიზაციის რესპუბლიკური სამუშაო ფონდი. უფლებ. სახატი მღვარდ ამოქანისა. ტექნოლოგიური მხლი შინათმელი ვაშლიეზის 48-ე წელი.

საქ. კ. ციკის
გამომცემლობა
Издательство
ЦК КП Грузии

შესამართი რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: ში რედაქტორის—93-41-30, 93-98-15, ქ/მე მდინის—93-10-32, 93-98-17; სახ. რედაქტორის—83-98-18; განყოფ.—93-98-19; სამდინისა — 93-98-16. ვადიცი ინაწიხად 19/VIII-75 წ., ხელმოწერილია დისამბედად 16/X-75 წ., კალაღის ზომა 60X90, ფ. ნა. ღურც. 25, ტრაჟი 159.700. შვც. № 3170. „ღილა“ № 11, რა გრუინსკომ ვაჟაჟე. ფასი 20 კაბ.